21/06/2020

საეკლესიო კალენდარი: 21 ივნისი



21 ივნისს მართლმადიდებელი ეკლესია შემდეგ წმინდანებსს მოიხსენიებს: ღირსი ეფრემ, ანტიოქიის პატრიარქი, ღირსი ზოსიმე ფინიკიელი, წმიდა დიდი მოწამე თეოდორე სტრატილატი, ღირსი ნავკრატიუსი, ღირსი მელანია, ღირსი აფრე, წმიდა მოწამე თევდორე მღვდელი.

წმიდა მოწამე თევდორე მღვდელი (კველთელი) (+1609)

წმიდა მოწამე თევდორე მღვდელი (კველთელი) XVII საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდა. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ირანი და ოსმალეთი ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ იყვნენ გადაკიდებულნი ქალაქ ბაღდადის გამო. 1609 წლის დასაწყისში ოსმალეთმა იძალა სპარსეთზე, წაართვა ბაღდადი, შემდგომ მიიტაცა სამცხე-საათაბაგო და იმავე წლის ივნისში ახალციხიდან შემოესია საქართველოს.

ამ დროს საქართველოში მეფობდა ახალგაზრდა მეფე წმიდა ლუარსაბ II (ხს. 21 ივნისს). ის მცირე ამალით ცხირეთის ციხეში, თავის საზაფხულო რეზიდენციაში იმყოფებოდა. ოსმალებმა, რომლებმაც მეფის სამყოფელი იცოდნენ, გადაწყვიტეს უმოკლესი გზით შეჭრილიყვნენ შიდა ქართლში, ცხირეთის ციხეს თავს დასხმოდნენ, შეეპყროთ ლუარსაბი და ამ გზით მთელი საქართველო დაემორჩილებინათ.

ოსმალებმა სწრაფად გადმოლახეს თრიალეთი, ქართლში შემოსასვლელი გზების მცველი ქართველები ამოხოცეს და მოულოდნელად მოადგნენ მანგლისს. მანგლისის ღვთისმშობლის ეკლესია დარბევას სასწაულებრივად გადაურჩა. მემატიანე წერს: „ესევითარმა ღრუბელმა ზრქელმა და ნისლმა დაფარა იგი, ვიდრეღა პირისპირ მისა ჩავლეს ესოდენმა სიმრავლემან მეომართამან და ეკლესია იგი სოფლითურთ ვერ იხილეს“. წმიდა ლუარსაბმა არაფერი იცოდა თავდასხმის შესახებ, მტერს კი ცხირეთამდე სულ ხუთიოდე საათის სავალი რჩებოდა. მანგლისიდან მეფის საზაფხულო რეზიდენციამდე რამდენიმე გზა მიდიოდა. ოსმალებს ვერ გადაეწყვიტათ, რომელ გზას დასდგომოდნენ.

მანგლისის ახლოს, სოფელ კველთაში, თათრებმა შეიპყრეს ქართველი მღვდელი, „სახელად თევდორე, პატიოსანი და მოშიში ღვთისა და ერთგული მეფისა თვისისა“. მღვდელი თურმე ეკლესიას კეტავდა, სხვებთან ერთად ტყეში გაქცევა ვერ მოესწრო, რადგან ეკლესიის განძეულობა გადამალა მტრის ხელყოფისგან. მამა თევდორეს ოსმალებმა მეგზურობის გაწევა მოსთხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას წამებით სიკვდილი ელოდა. „ხოლო მან, ნეტარმან ხუცესმან, აღირჩია სიკვდილი, ვიდრე განცემა მეფისა და გაწირვა საქართველოჲსა“. მღვდელმა ლაშქარი გზას აცდინა და ცხირეთს დააშორა. დასავლეთით მიმავალი ოსმალთა ჯარი ფიქრობდა, საცაა ჩრდილოეთით გავუხვევთ და მეფეს იდუმალ დავადგებითო თავს. უგზოზე დიდი ხნის სიარულის მერე, როცა „გზასა ძნელთა და იწროთა და კლდოვანთა და სხვათა მათსა ცხენნი მრავალნი და კაცნი შთაცვივნეს კლდეთა და კაპანთა და მოსწყდეს“, ოსმალები მიხვდნენ, რომ მოტყუვდნენ. „იხილეს რა თავნი თვისნი ესრე მოცთომილნი და შეიწრებულნი, კაცთა მათ სახელოვანთა შეიპყრეს ხუცესი იგი და თავი წარკვეთეს“.

თევდორეს თავდადებამ ნაყოფი გამოიღო. წმიდა მეფე ლუარსაბმა ციხეში გამაგრება მოასწრო, შემდეგ კი ქართველთა ლაშქარმა მოთარეშეებს მუსრი გაავლო.

ღირსი ნავკრატიუსი (+747)

ღირსი ნავკრატიუსი წმიდა თეოდორე სტუდიელის (ხს. 11 ნოემბერს) მოწაფე იყო. მართლმადიდებლობის მხნე აღსარებისთვის და წმიდა ხატთა თაყვანისცემისთვის ნეტარმა მამამ ხატმებრძოლთაგან დევნა და შევიწროება დაითმინა. ამ მწვალებლობის დაგმობის შემდეგ კი პატრიარქმა მეთოდემ გადასახლებიდან გამოიწვია იგი და

სტუდიონის მონასტრის იღუმენად დაადგინა. წმიდანი აღესრულა 848 წელს.

წმიდა დიდი მოწამე თეოდორე სტრატილატი (ნაწილთა გადასვენება, 319)

წმიდა დიდმოწამე თეოდორე სტრატილატი ჰერაკლიაში ეწამა ქრისტესთვის 319 წლის 8 თებერვალს. წამების დროს წმიდანმა მსახურს – უარს სთხოვა, რომ მისი ცხედარი მშობლების მამულში დაეკრძალა. უარმა შეუსრულა ბატონს უკანასკნელი სურვილი – იმავე წლის 8 ივნისს პატივით გადაასვენა მისი წმიდა ნაწილები ევესიტში.

ამავე დღეს იხსენიება დიდმოწამის წმიდა ხატის მიერ აღსრულებული ერთი სასწაული, რომელიც მისივე სახელობის ტაძარში მოხდა. საყდარი, რომელიც დამასკის მახლობლად, დაბა კარსატაში მდებარეობდა, სარკინოზებს საცხოვრებლად გაეხადათ. ერთმა მათგანმა ისარი სტყორცნა წმიდა თეოდორეს ხატს და მხარში მოარტყა. უეცრად ამ ადგილიდან სისხლმა იფეთქა. მალე ტაძარში დამკვიდრებული ურჯულოები ერთმანეთის მიყოლებით დაიხოცნენ. ამ სასწაულის შესახებ მოგვითხრობენ ანტიოქიის წმიდა პატრიარქი ანასტასი (+599, ხს. 20 აპრილს) და ღირსი იოანე დამასკელი (+დაახლ. 780. ხს. 4 დეკემბერს) (ცნობები წმიდა თეოდორე სტრატილატზე იხილეთ 8 თებერვლის საკითხავებში).

ღირსი ზოსიმე ფინიკიელი

ღირსი ზოსიმე ფინიკიელი (VI) დაიბადა სირიის სოფელ სინადში, ტვირის მახლობლად. ის სრულიად ახალგაზრდა აღკვეცეს ბერად. ზოსიმე მარხვით, ლოცვით, ფიზიკური შრომით და სხვა კეთილი საქმეებით განადიდებდა უფალს. ღირსმა მამამ ღვთისგან განჭვრეტის მადლი მიიღო. მან იწინასწარმეტყველა ანტიოქიაში 526 წელს მომხდარი საშინელი მიწისძვრა.

ერთხელ წმიდანს პატრიციუს არქესილაოსი ესტუმრა. მალე სტუმარს მდევარიც მოჰყვა და აუწყა, რომ მის ცოლს თვალში ჩხირი გაერჭო და საშინლად იტანჯებოდა. ღირსმა მამამ დაამშვიდა არქესილაოსი: კესარიელმა მღვდელმთავარმა იოანე ქოზიბელმა (ხს. 3 ოქტომბერს) თქვენი მეუღლე უკვე განკურნაო.

ღირსმა ზოსიმემ სულიერი სრულყოფილების ისეთ საფეხურს მიაღწია, რომ მას მხეცებიც ემორჩილებოდნენ. ერთხელ, კესარიისკენ მიმავალი წმიდანის სახედარი მშიერმა ლომმა გაიტაცა და შეჭამა. ღირსმა მამამ მოძებნა მხეცი და უთხრა: „მეგობარო, მოხუცი ვარ და არ შემიძლია სიმძიმის ზიდვა. წამიღე ტვირთი, შემდეგ კი უდაბნოში დაბრუნდი და კვლავ იმძვინვარე შენი ბუნების წესისამებრ“. ლომმა მორჩილად მიიტანა ტვირთი კესარიამდე, აქ კი ზოსიმემ იგი გაათავისუფლა.

ღირსი ეფრემ, ანტიოქიის პატრიარქი (+545)

ღირსი ეფრემი, ანტიოქიის პატრიარქი (+545). ეფრემი მხედართმთავარი იყო ანასტასი (491-518) და იუსტინე (518-527) იმპერატორების დროს. სირიელი ჭაბუკი გამოირჩეოდა სიკეთით, კეთილმსახურებითა და გულმოწყალებით.

526 წელს უფალმა სასჯელი დაატეხა თავს ანტიოქიას ნესტორისა და ევტიქის ერესებისაკენ გადადრეკისათვის: მიწისძვრამ ნანგრევებად აქცია ეს დიდებული ქალაქი. უამრავი მცხოვრები დაიღუპა. პატრიარქი ევფრასიუსი ჩამოქცეულმა სვეტმა იმსხვერპლა.

იმპერატორმა ეფრემი გაგზავნა ქალაქის აღსადგენად. მუშებს შორის იყო ერთი ეპისკოპოსი, რომელსაც ფარული ღვაწლის სურვილით დაეტოვებინა კათედრა. მან წმიდანს პატრიარქობა უწინასწარმეტყველა და სთხოვა, ხელი არ აეღო ქველმოქმედებაზე და მტკიცედ ებრძოლა ერეტიკოსებთან. 527 წელს წმიდა ეფრემი პატრიარქად აკურთხეს. იგი მტკიცედ და ბრძნულად მართავდა სამწყსოს და საკუთარი ცხოვრების წესით, ქადაგებითა და ეპისტოლეებით იცავდა მას მწვალებლურ სწავლებათაგან.

მისი რწმენის სიძლიერეზე მეტყველებს ერთი შემთხვევა: იეროპოლის მახლობლად მოსაგრეობდა ერთი მესვეტე, რომელიც მწვალებლობაში ჩავარდა. ეს რომ შეიტყო, წმიდა ეფრემი მივიდა ბერთან და მოუწოდებდა, დაბრუნებოდა მართლმადიდებლობას. მესვეტე უარზე იყო. მან პატრიარქის დაშინებაც კი სცადა და შესთავაზა, დიდი კოცონი დაენთოთ და ერთად შესულიყვნენ ცეცხლში. კოცონი დაანთეს, მაგრამ ერეტიკოსმა ბერმა ვერ გაბედა შიგ შესვლა. მაშინ პატრიარქი მხურვალედ ევედრა უფალს, დაემოწმებინა, ვისი სარწმუნოება იყო უცდომელი, მოიხსნა ომოფორი და ცეცხლს მისცა. სამი საათის შემდეგ შეშა დაიფერფლა, ომოფორი კი უვნებლად დარჩა. ამ სასწაულის მხილველმა მესვეტემ უარყო ერესი და მართლმადიდებლებს შეუერთდა.

წმიდა პატრიარქი მშვიდობით მიიცვალა 545 წელს.

თავის ნაშრომებში ღირსი ეფრემი იცავდა მართლმადიდებლურ სწავლებას ქრისტეს ორბუნებოვნების შესახებ.

— sputnik-georgia.com